ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4683566

ნომერი: AR1703908

თარიღი : 29.08.2019

გაცემის თარიღი : 24.09.2019

გაცნობის თარიღი : 24.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 29

აგვისტოს NAR1703908 განცხადებით მომართა მომართა გიორგი ინასარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლოქეიშნ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.05.009.098), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2017 წლის 04 მაისის №3243217 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 04 მაისიდან 2019 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 08 აგვისტოს №4624110 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი: 5554.9 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 1001.1 კვ.მ. საერთო ფართობი: 8111.3 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +3,30, +9,90, +13.2, +16.40, +20.35 +23.05, +26.350, +29.650 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 19 ივლისის NAR1695635 განცხადებით ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებით შეთანმხებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომები. შესაბამისად მოთხოვნილია 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებით შეთანმხებული გეგმების წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლება (ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების გარეშე). განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 017 წლის 31 მარტის №3182468 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 017 წლის 31 მარტის №3182468 და 2019 წლის 08 აგვისტოს №4624110 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.